ᲕᲐᲚᲘᲮᲕᲐᲓᲘ ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ

ᲒᲐᲠᲓᲚᲔᲢᲣᲚᲘᲡᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲛᲔᲚᲝ ᲨᲔᲛᲧᲜᲔᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. ᲑᲘᲣᲠᲝ (ᲑᲘᲜᲐ) ᲡᲐᲥᲪ. ᲓᲐ ᲛᲔᲖ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥ. ᲡᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲔᲪᲐᲜᲐ: ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ—14—76, ᲠᲔᲓ. ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ—22—17, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ—19—56, ᲤᲘᲜ. ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲘᲡ—8—81.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ 1933 ᬀ. № 249 (3805)

ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲐᲚᲘ ᲐᲣᲚᲔᲒᲔᲚᲘ

საქართველოს სახკომსაბჭოს და **დაჭრით გაძლიერდეს მისი გადა-**
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 23 აგვის- **ზიდვა და ჭარხნისათვის მიწოდე-**
ტოს დადგენილების თანახმად **ბა.**

შაქრის ჭარხლის ამოთხრის დამთავრების საბოლო ვადად დაწესებულია პირველი ნოემბერი, ხოლო გადაზიდვის ვადად 10 ნოემბერი. საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით, შაქრის ჭარხლის ამოღების დავალება 20 ოქტომბრისათვის შესრულებული იყო 76,5 პროცენტით: 4254 ჰექტარიდან, შაქრის ჭარხალი აღებული იყო 3254 ჰექტარზე. ამგვარად **20 ოქტომბრისათვის ჭარხალი ასაღები იყო კიდევ 1000 ჰექტარზე.**

საჭიროა ქართლის რაიონების პარტიული, საბჭ. და საკოლმეურ. ორგანიზაციების მიერ მთელი ძალებისა და საშუალებების მობილიზაცია იმისათვის, რომ ჭარხლის ამოღების გეგმა მთლიანად შესრულებულ იქნას **ვადაზე.**

მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორც ეს ჭარხლის ამოღების დარგში დღემდე ჩატარებულ მუშაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, აქვს ძალთა სწორად განაწილებას და საშემოდგომო თესვის სამუშაოთა ჭარხლის აღების კამპანიასთან გეგმიანად **შეთავსებას.** მკითხველი ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ მასალებიდან ნათლად დაინახავს, რომ ჭარხლის, როგორც ამოთხრის, ისე გასუფთავებისა და გადაზიდვის გეგმებს ვადამდე ასრულებენ მხოლოდ ის მოწინავე კოლმეურნეობანი, რომელთაც სწორად გაანაწილეს ძალები, მოსპეს გაუპიროვნება, მიამაგრეს ბრიგადები თავიანთ ნაკვეთებზე, დააწესეს ჭარხლის ამოღების დღიური ნორმები და მიიღეს ყველა ზომები ამ ნორმების ყოველდღიურად შესრულებისათვის.

მაგრამ მარტო აღების დავალებათა შესრულება არ სწყვეტს ამოცანას. შეიძლება დროზე ამოთხრილი და კარგადაც ამოთხრილი ჭარხალი დაზიანდეს და მთლიანად დაგვეღუპოს კიდეც, თუ იგი დანიშნულ ვადაზე არ იქნა **გადაზიდული** და არ გადეცა ქარხანას. ამოღებული ჭარხლის გადაზიდვის მდგომარეობა — კი მეტად სერიოზულია. ქართლის რაიონებში **რკინის გზის** სხვა და სხვა სადგურებზე 25 ოქტომბრისათვის დაგროვილი იყო 171.500 ცენტნერი ჭარხალი. რკინის გზა, რომელიც ხელშეკრულების თანახმად ვალდებულია ჭარხლის გადასაზიდად აგარის შაქრის ქარხანას ყოველდღიურად მიაწოდოს 31 ვაგონი, ამ დავალებებს სისტემატიურად არ ასრულებს (31 ვაგონის ნაცვლად რკინის გზა საშუალოდ ქარხანას აწოდებს დღეში 7 ვაგონს).

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ **გვიანდება შაქრის ჭარხლის გადამოზიდვა მთელი რიგ დაშორებული პუნქტებიდან.** ეს ითქმის განსაკუთრებით **გორის** რაიონზე და იმ კოლმეურნეობებზე, რომელთაც ჭარხლის ნათესები აქვთ ტირიფონის მიდამოებში.

გარდა იმისა, რომ ჭარხლის დროულად მიუწოდებლობა გამოიწვევს შაქრის ქარხნის მუშაობის შეფერხებას, მოსალოდნელია აგრეთვე ჭარხლის გადაზიდვის დაგვიანებამ გამოიწვიოს ამოთხრილი ჭარხლის გაფუჭება, დალპობა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ როგორც რკინის გზის სადგურებზე, ისე მინდვრებზე დაგროვილი ჭარხალი არ ინახება სათანადო აგროწესების დაცვით, მაშინ ნათელი გახდება ის დიდი საფრთხე, რომელიც მოგველის ჭარხლის გადაზიდვის კიდევ გაჭიანურების შემთხვევაში.

ყოველივე ეს გვავალებს მივიღოთ სასწრაფო გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ **ჭარხლის აღების დაჩქარებასთან ერთად გა-**

ამისათვის, ერთიმხრივ საჭიროა ადგილობრივი ტრანსპორტის და ჭაპანზიდვის ყველა საშუალებების მაქსიმალური მობილიზაცია ჭარხლის მინდვრებიდან, განსაკუთრებით დაშორებული პუნქტებიდან გამოსაზიდად. გარდა ამისა, მიღებული უნდა იქნას სასწრაფო ღონისძიებანი შაქრის ქარხნისათვის ვაგონების მიწოდების გასაძლიერებლად იმ ჭარხლის დაუყონებლივ გადასაზიდად, რომელიც დაგროვილია რკინის გზის სადგურებზე.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ზოგან კიდევ გრძელდება ლიბერალური დამოკიდებულება იმ კულაკურ და შეძლებულ მეურნეობისადმი, რომელნიც მალავენ შაქრის ჭარხლის ფაქტიურ მოსავლიანობას, აჭიანურებენ მის აღებას და ბოროტი განზრახვით არ ასრულებენ სახელმწიფოსათვის ჭარხლის ჩაბარების მტკიცე დავალებებს. ასეთ მდგომარეობას ადგილი აქვს მაგალითად სტალინისის რაიონის მთელ რიგ სოფლებში. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სტალინისის რაიონის ერთპიროვნულ მეურნეობებს ჭარხლის ამოღების გეგმა შესრულებული აქვთ 100 პროცენტით, მაგრამ კულაკური მეურნეობებს სანახევროდაც არ შეუსრულებიათ სახელმწიფოსათვის ჭარხლის ჩაბარების დავალებები.

ჭარხლის მოსავლის გადამალვის ცდებს ადგილი აქვს აგრეთვე გორისა და კასპის რაიონების ზოგიერთ სოფელში. საჭიროა ამ მდგომარეობას ახლავე მიექცეს სერიოზული ყურადღება. სოფლის საბჭოებმა და მოსავლიანობის გამომრკვევ კომისიებმა უნდა მიიღონ ყველა ზომები **ჭარხლის ფაქტიური მოსავლის გადამალვის ანტისახელმწიფოებრივი ტენდენციების ძირშივე აღსაკვეთად. ჭარხლის მთელი მოსავალი უკლებლად უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს** — ასეთია ამოცანა, რომელიც შესრულებული უნდა იქნას.

კოლმეურნეობათა ხაზით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **დანაკარგებთან ბრძოლას.** ამ შემთხვევაში ბევრი რამ არის დამოკიდებული კოლმეურნეობათა ხარისხის ინსპექციების ნაყოფიერი მუშაობაზე. კოლმეურნეობათა გამგეობებმა და ხარისხის ინსპექციებმა უნდა ჩაატარონ ჭარხლის მოსავლის უდანაკარგოდ აღების **შემოწმება** იმ ნაკვეთებზე, სადაც უკვე დამთავრებულად მიაჩნიათ მოსავლის აღება. იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდება, რომ მოსავლის აღების ჩატარების შემდეგ ამათუმ ნაკვეთზე დარჩენილია ჭარხლის ამოუთხრელი ძირები — **უნდა ჩატარდეს დარჩენილი ძირების დამატებით შეგროვება.** ამავე დროს სათანადო პასუხი მოეთხოვოს იმ ჯგუფებისა და ბრიგადების ხელმძღვანელებს, რომელთა დაუდევრობა და უყურადღებობა იწვევს შაქრის ჭარხლის დანაკარგებს.

დადგა ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო პერიოდი შაქრის ჭარხლის აღებისა და გადაზიდვის საქმეში. ამ სამუშაოთა დამთავრებამდე **მხოლოდ დღეებია დარჩენილი. ქართლის** რაიონების პარტიულ ორგანიზაციებმა, პოლიტგანყოფილებებმა და სოფლის საბჭოებმა მთელი ენერგიით და პასუხისმგელობით უნდა მოჰკიდონ ხელი ჭარხლის მოსავლის აღების დავალებათა ბოლომდე შესრულებას და ამით მისცენ საშუალება აგარის ქარხანას, მთლიანად და გადაჭარბებით განახორციელონ მთავრობის დირექტივები შაქრის გამოშვების შესახებ.

ᲐᲛᲮ. ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲝᲕᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ

ᲛᲝᲜᲐᲙᲝᲕᲘ, 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი გაემგზავრა ვაშინგტონში. საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობის დრ. ასრულებას შეუდგა სახკომის მოადგილე ამხ. კრესტინსკი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲚᲩᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ,, 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ (საკ. კორ.) დღეს მოსკოვში ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის ახალი ელჩი ლორდი ენგტონი. ელჩს სადგურზე შეხვდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოლქო განყოფილების გამგე.

ᲓᲔᲙᲔᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲐ-ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ „ᲐᲡᲝᲨᲘᲔᲘᲢᲔᲓ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ“ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ Ბ. ᲙᲔᲜᲢ ᲙᲣᲞᲔᲠ „ᲘᲣᲜᲔᲘᲢᲔᲓ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ“ ᲓᲔᲙᲔᲨᲗᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲙᲐᲠᲚ ᲑᲝᲙᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲔᲙᲔᲨᲗᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ ᲐᲛᲮ. Ი. ᲒᲐ. ᲓᲝᲚᲔᲪᲙᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა ამხ. ი. გ. დოლეცკიმ ნიუ-იორკიდან მიიღო შემდეგი დეპეშები „ასოშიეიტედ პრესის“ დეპეშათა სააგენტოს გენერალური დირექტორის ბ. კენტ კუპერისგან და „იუნაიტედ პრესის“ დეპეშათა სააგენტოს გენერალურ დირექტორის ბ. კარლ ბიკელისაგან:

„როგორც ოფიციალურად, ისე პირადად მე გამოვთქვამ გულწრფელ იმედს, რომ ვაშინგტონის მოლაპარაკებას მოჰყვება თქვენი ჩამოსვლა ამერიკაში. მე ყოველ შესაძლებელ ღონისძიებას ვიხმარ, რომ თქვენი აქ ყოფნა გავხადო თქვენთვის სასიამოვნო და სახარგებლო.

გულწრფელი სალამი.

კენტ კუპერი

„დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენ შესძლებთ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ლიტვინოვის გამომგზავრების გამო, ინახულოთ შეერთებული შტატები და საშუალება მოგვცეთ სამაგიერო მოგიზღოთ ჩვენდამი გამოჩენილ თავაზიანობის ჭარვალი აქტისათვის.

საუკეთესო სალამი.

კარლ ბიკელი“.

ᲐᲛᲮ. ᲓᲝᲚᲔᲪᲙᲘᲛ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲗ:

„ᲐᲡᲝᲨᲘᲔᲘᲢᲔᲓ ᲞᲠᲔᲡᲘ“ — ᲙᲔᲜᲢ ᲙᲣᲞᲔᲠᲡ

დიდ მადლობას მოგახსენებთ გულითადი მიპატიჟებისათვის, დარწმუნებული ვარ, რომ ვაშინგტონის მოლაპარაკება შესაძლოდ გახდის განმტკიცდეს მეგობრობა ჩვენს ქვეყნებს შორის. მე შევეცდები ვინახულო ამერიკა და თქვენც პირადად, როცა გარემოება და ჩემი საქმეები ამის ნებას მომცემს.

გულწრფელი სალამი

დოლეცკი“.

„ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓ ᲞᲠᲔᲡᲘ“ — ᲙᲐᲠᲚ ᲑᲘᲙᲔᲚᲡ

დიდ მადლობას მოგახსენებთ დეპეშით თქვენ მიერ მიპატიჟების გამო. ბედნიერად ჩავთვლი ჩემ თავს, როცა მომავალში გარემოება ნების მომცემს მივიღო თქვენი მიპატიჟება და ვინახულო ამერიკა.

საუკეთესო სალამი.

დოლეცკი“

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ ᲣᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ

ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 26 ᲝᲥᲢ. (იზვესტიას“) საკ. კორესპ.) საფრანგეთის ავიაციის სამინისტროს ტექნიკური დარგის გენერალურმა დირექტორმა ბ. ჟაკომ გუშინ უმაღლეს საავიაციო სკოლაში გააკეთა მოხსენება ავიაციის მინისტრის კოტის მეთაურობით საფრანგეთის საჰაერო ესკადრილიის საბჭოთა კავშირში გაფრენის შესახებ. მოხსენებელმა ეროკლად გააცნო მრავალრიცხოვან აუდიტორიას, რომელიც შესდგებოდა სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის ინჟენერებისა და თვალსაჩინო მუშაკებისაგან, საავიაციო საქმის მდგომარეობა საბჭოთა კავშირში

ამ დღეებში ბ. ჟაკომ „ეკო დე პარის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს მიუთითა საბჭოთა ავიაციის შესანიშნავ მიღწევებზე.

ბ. ჟაკომ განაცხადა:

„სტალინს, რომელსაც მტკიცე ხელით მოყავს საბჭოთა კავშირის გიგანტური გემი, უყვარს ავიაცია და მან შესძლო ჩაენერგა ავიაციისადმი სიყვარული მთელი საბჭოთა კავშირისათვის. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებს ჩინებულად ესმით ავიაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ისინიფიქრობენ, რომ ავიაცია მოსცემს მათ საშუალებას განახორციელონ ლენინისა და სტალინის მიერ დასახული ეკონომიური განვითარების პროგრამა. ამ პროგრამამ საბჭოთა კავშირს საშუალება მისცა დაიკავოს მსოფლიოში ისეთი ადგილი, რომელიც არასოდეს არ ეკუთვნოდა ძველ რუსეთს და რომლის დაკავების უფლებაც აქვს საბჭოთა კავშირს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეების დაუდიდესი მოსახლეობის მეობრებით. საბჭოთა კავშირი არ ჩერდება მსხვერპლის წინაშეც იმისათვის, რომ უზრუნველყოს თავისი თავი მძლავრ ავიაციით.

ჩემი მგზავრობიდან მე დავრწმუნდი, რომ უკვე მიღწეულია განსაკუთრებით დიდი შედეგები. მე დაწვრილებით დავათვალიერე მოსკოვის საჰაერო აკადემია, რომელიც დაარსებულია დიდი მეცნიერის ჟუკოვსკის მიერ. ეს აკადემია ყოველწლიურად ათასობით უშვებს სამოქალაქო და სამხედრო ინჟენერებს, რომლებსაც მოეპოვებათ საკმაო მეცნიერული ცოდნა. აკადემიას აქვს საუცხოო ლაბორატორიები, რომლებიც ჩვენც კი შეგვშურდება. საბჭოთა სამხედრო ავიაცია უმაგალითო ტემპებით ვითარდება. იგი სრულიად არ იყენებს უცხოეთის მასალას. 1931 წლიდან დაწყებული იგი სარგებლობს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირში დამზადებული ჯაბიებით და ზოტორებით. ჩვენ საშუალება გვქონდა დაგეთვალიერებინა მოტორის ქარხანა, რომელიც გაცილებით აღემატება ყველაფერს რაც ამჟამად გვაქვს ჩვენ საფრანგეთში. მაგრამ მომავალი წლიდან ეს ქარხანაც შეცვლილი იქნება უფრო მძლავრი ქარხნით. საბჭოთა ავიაცია გახსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება ყველა დარგში (ადა).

ᲨᲐᲙ. ᲡᲐᲓᲣᲚᲘ

ლეიპციგის პროცესი

ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲐᲮ ᲛᲐᲚᲬᲐᲕᲔᲜ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲡ

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲘᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ

პრაღა, 26 ოქტომბერი. („იზვესტიას“ საკ. კორ.) ქიმიკოსმა შაცმა, რომელიც ბერლინის სასამართლო-მი ექსპერტად გამოვიდა, უცხოელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საწვავი ნივთიერება, რომელიც გამოყენებულ იქნა ოიხიტაგასთვის ცეცხლის წასაკიდებლად და რომლის შესახებაც ლაპარაკი იყო, არის სანდალის ზეთი. ეს ზეთი წარმოადგენს სქელ მოყვითალო-მოწითალო სითხეს, რომელსაც აქვს მაგარი სუნი და რომელიც დიდხანს ინახება ჰერმეტიულში. სანდალის ზეთი ძალიან ჩქარა ორთქლდება და თავის შემდეგ ტოვებს ყვითელ ფხვნილს. თავის თვალსაზრისს შაცი ასაბუთებს შემდეგი დებულებებით: ჯერ ერთი, ხანძარი რეიხსტაგის პლენარული სხდომის დარბაზში სწრაფად გავრცელდა, რისთვისაც საჭირო იყო ეთეროვანი ნივთიერების გამოყენება; მეორე—ბევრმა მოწმემ, მათ შორის გემბრაც, რეიხსტაგში შესვლისთანავე იგრძნო უცხო სუნი, რაც ჩვეულებრივ ხანძრის დროს არ სდის; მესამე—ბევრმა მოწმემ, რომლებიც ხანძრის შემდეგ შევიდენ რეიხსტაგში, დაინახეს მოლუსტოჯო ალი, რაც დამახასიათებელია ეთეროვანი ზეთის წვის დროს; მეოთხე—სხვა მოწმეებმა (ავადილი, ხალე) ერთ-ერთ დარბაზში აღმოაჩინეს მოყვითალო—ფხვნილი, რომელიც მათ ბაცარი ეგონათ და რომელიც ალბათ, წარმოადგენდა აორთქლებული სანდალის ზეთის ფხვნილს. სანდალის ზეთის უმთავრესად ინახავენ ტუბაკეებში.

ყველა ამ ფაქტს ადასტურებს ერთი ავსტრიელის კიოპეს ჩვენება, რაც გამოქვეყნებულია პრესაში. კიოპე იჯდა ბერლინის პოლიციე—პრეზიდიუმის ერთ-ერთ კამერაში მოიერიშე კურტ შტორხთან ერთად. კიოპემ ფიცის ქვეშ განაცხადა: ამ მოიერიშემ მე მითხრა, რომ იგი დაპატიმრებულია იმისათვის, რომ ეკუთვნოდა რეიხსტაგის პლენარული სხდომის დარბაზის ფანჯრების წარეცხვას ჯგუფს. ამის შემდეგ შტორხი ცდილობდა ელაპარაკებოდა. რეიხსტაგის ცეცხლის წასაკიდებლად გამოყენებული ეთეროვანი ზეთის წყაროს რაშის, რომელსაც ბასრის ტუბაკეები სწვავენ ნივთიერებით. დაახლოებით საღამოს 9 საათზე, მიწისქვეშა გასასვლელში, რომელიც რეიხსტაგის შენობას აერთებს პრუსიის პრემიერ მინისტრის გერინგის სასახლესთან, გამოჩნდა სამოქალაქო ტანსაცმელში მყოფი ცნობილი კაცი, ეს კაცი მოდიოდა რეიხსტაგის შენობიდან. ალბათ ეს კაცი ის უცნობი ნაციონალ-სოციალისტი დეპუტატი, რომელმაც დასტოვა რეიხსტაგი დაახლოებით 10 საათზე.

ჩეხია-სლოვაკიის გაზეთმა „სოციალ-დემოკრატმა“, რომელიც პრაგაში გამოდის, 1933 წლის 23 სექტემბერს გამოაქვეყნა ცნობა მოიერიშე კურტ შტორხის შესახებ. (ადა).

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲛ ᲣᲐᲠᲧᲝ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ

ᲗᲐᲕᲓᲐᲣᲡᲮᲛᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 25 ოქტომბერი. როგორც იუწყებიან, **ჩრდ.-ამერიკის წერთ. შტატებმა უარყო იაპონიის წინადადება თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ.** საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ ამჟამად პაქტის საკითხის საყაროზედ განხილვას შეუძლია გამოიწვიოს სენატის მტრული რეაქცია და საზოგადოებრივი აზრის არასასურველი დამოკიდებულება (ადა).

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲓᲐᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲡ ᲩᲠᲓ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗ. ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲡ

ტოკიო, 26 ოქტომბერი. „ძი-ძი“ ადასტურებს, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებმა უარყო **ხიროტას** წინადადება „ნებაყოფლობით“ მისიების გაკვეთა-გამოკვლის შესახებ, აგრეთვე წინადადება არბიტრაჟის პაქტის დადების შესახებ. გაზეთის სიტყვით, იმის გამო, რომ „იაპონიის წინადადების უარყოფა მოხდა შინაპოლიტიკური მიზეზებით“. ხიროტა, ალბათ, გადადგამს რაიმე ახალ ნაბიჯს იმ მიზნით, რომ მიაღწიოს ამერიკასთან დაახლოებას. გაზეთის სიტყვით, თუ რა ფორმას მიიღებს ეს ნაბიჯი გამოირკვევა მას შემდეგ, რაც გამბინტონიდან დაბრუნდება დებუცი.

როგორც „ძი-ძი“ აღნიშნავს ხიროტას წინადადების უარყოფის ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს „პაციფისტური ორგანიზაციების“ წინააღმდეგობა, აგრეთვე ის, რომ „ამერიკაში წინადებულად არსებობს შემცდარი აზრი, რომლის თანახმად იაპონია შორეულ აღმოსავლეთში წარმოადგენს აგრესორს“ (ადა).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲩᲔᲮᲝ-ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

ᲛᲝᲚᲘᲗᲝᲮᲕᲔᲜ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲐᲡ

პრაღა, 26 ოქტომბერი. ჩეხიის ნაციონალ-სოციალისტებს (საგარეო საქმეთა ძინისტრის ბენეშის პარტია) ცენტრალურმა კომიტეტმა, მოისმინა, **რაბენეშის** მოხსენება, მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად ამერიკა-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას თან დაკავშირებით, ჩეხია-სლოვაკია უნდა შეუდგეს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მომზადებას, ამასთან ერთად ბენეშის პარტიამ სენატის საგარეო კომისიაში შეიტანა წინადადება დაფუყნებლივ დაწყებულ იქნას საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. წინადადება მიღებულ იქნა მთავრობის კოალიციის ყველა პარტიის ხმების პრაქტიკული უთანხმოების უქონლობას მთავრობის კანონპროექტთან და დიპლომატიურად თავს იკავებს რაიმე აზრის გამოთქმისაგან ონონდელის ჯგუფის საკიელის შესახებ. გაზეთი აცხადებს, რომ საკითხი ამის შესახებ გადაწყვეტილი იქნება სოციალისტური პარტიის ნაციონალურ საბჭოს უახლოეს ცდო მაზე (ადა).

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ Ც. Კ-ᲘᲡ ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲭᲠᲔᲓᲘᲡ ᲧᲛᲔᲜᲓᲐ

ᲐᲛᲮ. Ლ. Მ. ᲙᲐᲒᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

25 ოქტომბერს დაიწყო საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სამდივნოსთან არსებული უჯრედის წევრდა. წევრებს აწარმოებს კომისია ამხ. **ᲨᲙᲘᲠᲘᲐᲢᲝᲕᲘᲡ, ᲤᲘᲚᲔᲠᲘᲡ, ᲙᲝᲡᲐᲠᲔᲕᲘᲡ** და **Ე. ᲔᲒᲠᲝᲡᲙᲝᲕᲡ** შემადგენლობით.

გამწმენდი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ᲨᲙᲘᲠᲘᲐᲢᲝᲕᲛᲐ** წარმოთქვა შესავალი სიტყვა წევრების ამოცანების შესახებ; შემდეგ მოსმენილ იქნა უჯრედის მდივნის ამხ. **ტარეზაშვილის** საანგარიშო მოხსენება უჯრედის მუშაობაზე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და მოს კოვის კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი, რომელსაც დამსწრენი მჭუხარე ტაშით შეხვდენ. ამხ. კაგანოვიჩის გამოსვლის შემდეგ გაჩაღდა ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე, კამათი უჯრედის მდივნის მოხსენების გარშემო.

(„პრავდიდან“)

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲖᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

ᲡᲐᲠᲝ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 26 ოქტომბერი. რადიკალ-სოციალისტურ პარტიის გენერალურ მდივანთან საუბრის შემდეგ სარო გამოვიდა რადიკალ-სოციალისტების სპარლამენტო ჯგუფის სხდომაზე, სარომ განაცხადა, რომ მას მხედველობაში აქვს ისეთი კაბინეტის შექმნა, რომელიც დაეყრდნობა ახლანდელი („მემარცხენე“) საპარლამენტო უმრავლესობას.

საგარეო პოლიტიკის დარგში, — სთქვა მან, — მომავალში მთავრობამ უნდა გააგრძელოს **ბრიანის, ერიოს და პონკურის ხაზი.**

შეეხო რა საფინანსო საკითხებს, სარომ აღნიშნა, რომ „ქვეყანას არ შეუძლია ეიაროს ახალი გადასახადების შემოღების გზით“ და რომ, მასთან დაკავშირებით, „ბიუჯეტის ბალანსირება მოითხოვს გადაშრეული ნაბიჯის გადადგმას ეკონომიის გაძლიერებისათვის“.

სოციალისტებს ჯერ არ განუსაზღვრავთ თავიანთი პოზიცია. სხვათა შორის, „პოპულერი“ დამამცირებლად იხდის ბოდიშს რადიკალ სოციალისტების წინაშე ხელფასისა და პენსიების შემცირების შესახებ კანონპროექტის მუხლის წინააღმდეგ ხმის მიცემისათვის, ხაზს უსვამს სოციალისტური ფრაქციის პრინციპული უთანხმოების უქონლობას მთავრობის კანონპროექტთან და დიპლომატიურად თავს იკავებს რაიმე აზრის გამოთქმისაგან **ონონდელის** ჯგუფის საკიელის შესახებ. გაზეთი აცხადებს, რომ საკითხი ამის შესახებ გადაწყვეტილი იქნება სოციალისტური პარტიის ნაციონალურ საბჭოს უახლოეს **ცდო** მაზე (ადა).

ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

(ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲗ ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲓᲐᲜ).

ალაზნის მარცვლეული კულტურების საბჭოთა მეურნეობამ ვადამდე მთლიანად შეასრულა საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა. 27 ოქტომბრისათვის დათესილია 4.200 ჰექტარი.

მეურნეობის სამკუთხედი: ᲨᲣᲙᲘᲜᲘᲡ. ᲑᲝᲒᲘᲐ. ᲙᲣᲞᲐᲠᲐᲫᲘᲚᲘ.

ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲗᲮᲠᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲖᲘᲓᲕᲐᲡ
ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ ᲕᲔᲛᲞᲔᲑᲘ

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲖᲘᲓᲕᲐᲡ ᲐᲒᲐᲠᲘᲡ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ

(„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

აგარის შაქრის ქარხანამ მიმდინარე წელს უნდა მოგვცეს **შაქარი — არანაკლებ 46,600 ცენტნერისა.**

ქარხანამ მუშაობა დაიწყო 18 ოქტომბრიდან და შაქრის პირველი პროდუქცია გამოუშვა 20 ოქტომბერს.

26 ოქტომბრამდე ქარხანამ მოგვცა შაქარი 340 ცენტნერი. დღეების განმავლობაში 3.853 ცენტნერიდან ქარხნის დატვირთვის უნდა იმატოს საშუალოდ 7.000 ცენტნერამდე. ამ საბრძოლო დავ

მატარებლის წაყვანა კუტაფინისებურად--
ან ყოველი კონდუქტორის ღირსების და სახელის საქმე

უფროსი კონდუქტორი იზმაილოვი...

ამკრები მატარებლის რეისი: ტფილისი-ხაშური

(ჩვენი სპეც. კორ.)

ყოველი რკინის გზელისათვის ცნობილია ის ფედდესი როლი, რომელიც თამაშობა გროზნის რაიონის დისპეტჩერის კუტაფინის მეთოდმა ამკრეს მატარებლების მოძრაობის მოწესრიგებაში. თვით კუტაფინმა და სხ. მოწინავე დისპეტჩერებმა დაამტკიცეს და უჩვენეს ყველას, რომ თუ კეთილსინდისიერად მუშაობენ სადგურის მუშაკები, თუ პირნათლად ასრულებენ ისინი თავის მოვალეობას, ზუსტად იცავენ ექსპლოატაციის წესებს, თუ ასევე კეთილსინდისიერად მუშაობენ მატარებლის წამყვან ორთქლმავალთა და კონდუქტორთა ბრიგადები, ამკრები მატარებლების გატარება მოცემულ უბანზე ყველება გაცილებით მოკლე დროის განმავლობაში, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მატარებლების მოძრაობის საერთო სქემით.

დისპეტჩერების მატარებლებზე გაყოლამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ტრანსპორტს.

მაგრამ ხომ შეუძლებელია, რომ ყოველ ამკრებ მატარებელს დისპეტჩერი გაჰყვებოდეს! მათ შეჩენეს კუტაფინისებური მუშაობის მეთოდი, ეხლა ამოცანა იმაში, მდგომარეობს, რომ ეს მეთოდი გადაიქცეს თვით მატარებლების გადეოდნ... და უფროსი კონდუქტორის ღირსების საქმედ გადაიქცეს.

ამ ამოცანის შესრულების შემოწმება იყო სწორედ ჩვენი მიზანი, როდესაც განვიზრახეთ 28 ოქტომბერს ტფილისიდან-ხაშურამდე მიმავალ ამკრებ მატ. № 958-ს გაყოლა.

*

„ამკრები № 958 ტფილისიდან (სადგურის ჩრდილოეთის პარკი) ღამის 1 საათსა და 22 წუთზე უნდა გავიდეს. წასვლამდე საათნახევარი იქნებოდა დარჩენილი, როდესაც პარკში გამოცხადდა ორთქლმავალი „ოდ“ 4369 გამოლილი კონდუქტორთა ბრიგადით და მზეთავებით.

მატარებელი დღეს ჩაბარებული აქვს კომკავშირული საორთქლმავლო ბრიგადას, (ემანქანე როსტისა მშვილი, თანაშემწე— კოშორიძე), კონდუქტორთა ბრიგადას უფროსი კონდუქტორის ამხ. ი. იზმაილოვის მეთაურობით და მზეთავებს—დმიტრენკოს და ზიმენუხოვს განწესით, მზეთავები მორიგეობა აქვთ; გორამდე უნდა იმუშაოს დენსენკომ, გორის იქით კი — ზიმენუხოვმა.

კონდუქტორები დ... ოვნებლივ შეუდგენ შემადგენლობის გამზადებას. კიდებენ საბედერო ფარნებს, სინჯავენ დამღებს, მზეთავი უკვლის ბუქსებს, იზმაილოვი პარკის სამორიგეო ოთახიდან მიემართება, რომ მიიღოს განწესი და ცნობები ხაზზე ჩასატარებელი მუშაობის შესახებ.

10 წუთია დარჩენილი. ამხ. იზმაილოვი ლეპს სელექტორიო აპარატს და იძახებს რაიონის დისპეტჩერს.

— გელაპარაკებათ ამკრებ № 958-ს უფროსი კონდუქტორი იზმაილოვი. მატარებელი მზად არის წასასვლელად, მომეცით მოძრაობის გრაფიკი და სამუშაო გეგმა.

რაიონში მორიგეობს დისპეტჩერი ამხ. კ. ჯანჩიპაძე. 5 წუთში უფროსი კონდუქტორს უკვე აღჭურვილია საჭირო ცნობებით.

უფროსი კონდუქტორი იღებს კვერთხს და მიდის ორთქლმავლისაკენ. გზაზე გაუვლის დასახვედებელ ვაგონში თავშეყრილ კონდუქტორებს. წვიმს, სიცივეა, მათ გაკვეთეს ყოველივე, რაც ეკალეზოდათ და წასვლამდე თავი ვაგონს შეაფარეს.

— გრაგდა მუხრუჭებს? — იძლევა განკარგულებას (ორთქლმავლისაკენ მიმავალი) უფროსი კონდუქტორი.

— გრაგდაც დაუყოვნებლივ ასრულებს გადაწყვეტილებას.

გაისმის სასტვენის ხმა—წასვლის ნიშანი, ხრულ 1 საათსა და 22 წუთზე დაიძრა მატარებელი ადგილიდან.

— დღეებს გავიცვლით გაუჩერებლად, ავკალაში მივიბამთ სამ ბაქანს, ზაჭესს გავცვლით გაუჩერებლად, მცხეთაში დავტოვებთ 14 ვაგონს, ერევში სამუშაო არ გვაქვს, გავცვლით გაუჩერებლად, ქანში ავხსნით 3 და მივიბამთ 2 ვაგონს, სანდაკში გასაკეთებელი არაფერია, კასპში დავტოვებთ ერთ ცისტერნას და მივიბამთ ცემენტით დატვირთულ 14 ვაგონს, მეტეხში დასატოვებელია ერთი ვაგონი, გრაკალში და უფლისციხეში გასაკეთებელი არაფერია, სამუშაო გორში,, ქარელში და გომში — აცნობს ამხ. იზმაილოვი სამუშაო გეგმას დანარჩენებს.

საერთო გრაფიკის მიხედვით მატარებელი ხაშურში უნდა ჩავიდეს 24 ოქტომბერს ღამის 11 საათსა და 24 წუთზე. შესასრულებელ სამუშაოების გათვალისწინებით კი დისპეტჩერ არზიანს შეუდგენია სპეციალური გრაფიკი, რომლის მიხედვით ხაშურში საღამოს 6 საათზე და 40 წუთზე უნდა ვიყოთ.

მართლაც რეალური აღმოჩნდა ეს გრაფიკი. ჭანამდე გრაფიკზე ადრეც კი მივედით მატარებელი.

ავჭალაში მოიხსნა ორთქლმავალი, შეიცვალა შუშის ქარხნის ეზოში, გამოიყვანა სამი ბაქანი, მოუბა შემადგენლობას ბოლოში, და წაიყვანა. მცხეთაში დასხტოვა 14 ვაგონი, ორჯერ ჩავიდა ხეტყის ქარხანაში და გაუდგა გზას, ქსანში 4 საათსა და 45 წუთზე ვიყავით. აქამდე საორთქლმავლო ბრიგადა მართლაც ბეჯითად მუშაობდა, აქ კი უღალატა ტემპებს. სადგურში მთელი სამუშაო 2 ვაგონის მიბმაში გამოიხატა. ერთი მთაგანი მეოთხე ლიანდაგში იდგა, მეორეც პირველში. ამ საქმეს მოანდომეს 1 საათი და 25 წუთი. წავედით 6 საათსა და 10 წუთზე. ეს იმიტომ მოხდა, რომ მხოლოდ სამუშაოს დამთავრების შემდეგ მოითხოვა საორთქლმავლო ბრიგადამ ორთქლმავალში წყალის ჩასხმა, რის საშუალებაც მას მუშაობის პროცესში ჰქონდა. ბიდრავლური ონკანი პირველ ლიანდაგშია, ორთქლმავალს ონკანის ქვეშ გავლისას შეეძლო წყალის აღება, მაგრამ ორთქლმავლის ბრიგადა ასე არ მოიქცა, მან წყალის აღება მოითხოვა მაშინ, როდესაც ორთქლმავალი მეოთხე ლიანდაგში იდგა. საჭირო გახდა დიდი მანძილის მოვლა, რომ ორთქლმავალი ისევ პირველ ლიანდაგზე გადასულიყო და წყალი აეღო. ამასობაში ხანდაყოლამ გამოსულ მატარებელმაც დაიჭირა ამკრეფი და უკანასკნელი გრაფკიდან ამოვარდა.

უნდა აღინიშნოს სადგურის მორიგის დაუდევრობაც. ჭანში გეგმით მხოლოდ 1 ვაგონი უნდა მიებათ, იქ კი აღმოჩნდა მეორე ვაგონიც, რომელიც ხანდაზმა იყო გასაგზავნი. ამის შესახებ რაიონის დისპეტჩერისათვის არაფერი უცნობებიათ. ამან გამოწვია დამატებითი მუშაობა ხანდაზმა, სადაც გათვალისწინებული იყო მხოლოდ შეხვედრა სახ. მატ. № 53-თან, იქ კი საჭირო გახდა წყალის კასრი-ვაგონის ახსნა და ამან გარდა, სახალხო მატარებელთან შეხვედრისა, გამოიწვია ამკრეს მატ. № 957-თან შეხვედრაც. 7 საათი და 25 წუთის ნაცვლად აქედან წავედით 7 საათსა და 47 წუთზე.

ჭანიდან გაუშვეს წინ კასპის სამანევრო ორთქლმავალი, რათა უკანასკნელს მოემზადებია სამუშაო.

კასპში დავაკავებინეთ მივედით. (7 საათი და 58 წუთის ნაცვლად —8 საათსა 20 წუთზე) მოიხსნა იქ დახატებულად დანიშნული ცისტერნა. უნდა მიებათ 14 ვაგონი ცემენტით, მაგრამ კასპის ორთქლმავალს არ მოემზადებია იგი. მხოლოდ ამკრეფის ჩასვლის შემდეგ წავიდა ის ქარხნის ჩიხში ვაგონების გამოსაყვანად. ამასთან, აღმოჩნდა გაუთვალისწინებელი სამუშაოც. რის შესაბამებაც სადგურს არ უცნობებია რაიონისათვის (სადგურის მორიგე არსენიშვილი).

კასპში მატარებელი 10 საათსა და 5 წუთზე გაუშვა. ამკრეფი, გრაფიკის გარეშე მიდის, დაგვიანებას გარდა ჩამოთვლილ გაუთვალისწინებელ სამუშაოებისა საორთქლმავლო ბრიგადაც ადიდებს. იგი ძალზედ ზანტად მუშაობს, არ არის სასურველი ტემპები. შეიძლება სამუშაოს გაცილებით მოკლე ხანში დამთავრება, რომ მემანქანეები უფრო სწრაფად მუშაობდენ. მათი ზანტობა აღელვებს და აბრაზებს უფროს კონდუქტორს, იც ნერვიულობს, ილანძღება საორთქლმავლო ბრიგადის მისამართით, უშენებს ხელს, რომ სწრაფად წავიდ-წამოვიდენ, მაგრამ ამაოდ, ბრიგადა არ ჩქარობს.

ყველაზე დიდ მუშაობა ამკრებს გორში მოელის. უნდა მიიბას და წაიღოს შავი ზღვის რკინის გზისათვის შპალით დატვირთული 5 ვაგონი, უნდა ახსნას 3 ვაგონი. ეს სამუშაო ნორმალურად შესრულდა. სადგურის მორიგემ ენერგიულად მონაწილეობა მიიღო სამუშაოების შესრულებაში. გორიდან წავედით დღის 2 საათსა და 10 წუთზე. მატარებლის სიმძიმის ნორმა შეჯილია. წონა 690 ტონას უდრის. მეტის წაღებას ორთქლმავალი ვერ შეძლებს. ახე, რომ დანარჩენ სადგურებში ვაგონების მიბმა, ან ტვირთის დადება შეუძლებელია, გარდა ქარელისა, სადაც უნდა ახსნას ერთი ვაგონი და გომისა, სადაც უნდა ახსნას 2 ვაგონი.

ამის შესახებ გორიდან ეცნობა რაიონის მორიგე დისპეტჩერს ბუდაბაშვილს, რომელმაც არზიანი შესცვალა 24 ოქტომბერის. იგი ვალდებული იყო ეს ცნობა გადაეცა სადგურისათვის. რათა მათ არ გაეჩერებათ ამკრეფის ამ უკანასკნელმა რეისმა ცხად მყო ზოგიერთ სადგურის დაუდევრობა, თორემ გორიდან ხაშურამდე სრული ცნობების მიუწოდებლობა, (ქსანის და კასპის მაგალითები), რასაც ბოლო უნდა მოეღოს, რაიონის ხელმძღვანელობამ ამას ყურადღება უნდა მიაქციონ და მიიღონ საჭირო ზომები დაუდევარი მუშაკების წინააღმდეგ.

ამკრეფ № 958-ს ამ რეისმა დაამტკიცა, რომ მთავარ კონდუქტორს შეუძლია წაიყვანოს მატარებელი კუტაფინისებურად, მხოლოდ საჭიროა ამ მეთოდის მნიშვნელოვან ბაზ სრული შეგნება. სწორედ ასეთი შეგნების მუშაობდა ამხ. იზმაილოვი, ის ყოველმხრივ ცდილობდა, რომ არ გამოეწვია ორთქლმავლის გაცდენა და ყოველ სამუშაოს ზუსტად ასრულებდა. მაგ. მეტეხში, სადაც უნდა დაეტოვებიათ ერთი ვაგონი, მას არ გამოუყენებია ამისათვის ორთქლმავალი, არამედ ახსნა ვაგონი და ხელით შეაგორა ჩიხში,რითაც მოიგო დრო. ამხ. იზმაილოვი იძლევა იმის საუკეთესო ნიშნებს, თუ როგორ უნდა იმუშაონ უფროსმა კონდუქტორებმა ამკრეფ მატარებლებზე. იზმაილოვს უნდა მიეძღვნ დაწარ ჩენებაც.

დასასრულ, რამოდენიმე სიტყვა მატარებლის შედგენის სპეციალიზაციაზე, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამკრები მატარებლებისათვის. თავიდან რომ აცილებული იქნეს ზედმეტი უხარგებლო სამანევრო ოპერაციების წარმოება გზაში და ორთქლმავლის უხაოფო რბენა, ამისათვის აუცილებელია მატარებლების შედგენის სპეციალიზაციის ზუსტად დაცვა განსკარგულებელ სადგურებში. ე.ი. ახალ ნელ ვაგონების დაყენება სადგურების თანამიმდევრობის მიხედვით.

ამ წესს ხშირად არღვევდენ. კერძოდ იგი დარღვეული იყო 28 ოქტომბერს ტფილისის სადგურის ჩრდ. ჩიხის მიერ. ამკრეფ № 958-ს შემადგენლობაში ჯერ იდგა ჭანის ვაგონი და შემდეგ ავჭალის, რამაც შეაფერხა გზაში მუშაობა და გამოიწვია ორთქლმავლის ზედმეტი გარბენა.

ან. კელენჯერიძე.

გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის გრძანება

„პრავდას“ რედაქციისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტსამმართველოში შემოვიდა კოლექტიური განცხადებანი სევასტოპოლიდან ლენინგრადში 1933 წლის 18 ოქტომბერს გაგზავნილი № 2 მატარებლის 47 მგზავრის ხელისმოწერით.

ამ განცხადებებში აღნიშნულია, რომ მატარებელი სევასტოპოლში პირნათლ ჩამოაყენეს მის გაგზავნამდე 9 წუთით ადრე. მატარებლის შემადგენლობას მოსკოვამდე აკლდა ვაგონები № 5 და № 11, ხოლო № 7 ვაგონზე, რომელიც მხოლოდ მოსკოვამდე მიდიოდა, გაყიდული იყო პლაცკარტიანი ბილეთები პირდაპირი მიმოსვლის მატარებელზე ლენინგრადამდე, ამასთან ერთად იმავე ადგილზე გაცემული აღმოჩნდა ორ-ორ ბილეთი, რის გამო სევასტოპოლის სადგურზე წარმოუდგენელ ალიაქოთის შემდეგ დარჩა მრავალი მგზავრი, რომელთაც მატარებელში შესვლა ვერ მოასწრეს. უკვე ბაბჩისარაიში გამოაშკარავდა მთელი რიგი დეფექტიანი ვაგონები ამავე მატარებელში. შემდგომი სვლისას მოსკოვამდე № 12 მატარებელი რამდენჯერმე გაჩერდა შემადგენლობის გაუმართაობის, მაერგამტარის გაწყვეტის და სხვ. გამო.

მგზავრთა პროტესტები და კანონიერი მოთხოვნები რკინის გზის ადმინისტრაციის მიმართ

როგორც სევასტოპოლის და სიმფეროპოლის სადგურებზე ისე გზაში სრულიად უყურადღებოდ დარჩა.

ვინაიდან ეს ფაქტები დამახასიათებელია რკინის გზის ადმინისტრაციის და პერსონალის მხრივ სამგზავრო მატარებლების მომსახურეობისადმი დანაშაულებრივ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების და მგზავრების საჭიროებებისა და კანონიერი მოთხოვნებისადმი შეუწყნარებელი მოპყრობის მთელი რიგი შემთხვევებისთვის, — ვბრძანებ:

გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს ბრიგადა ამხ. ვ. ნ. ალექსეევის ხელმძღვანელობით და „პრავდას“ წარმომადგენლის ამხ. ნ. ნ. კრენის, სახ. პოლიტსამმართველოს სატრანსპორტო განყოფილების წარმომადგენლების ამხ. ც. ქ. ლესის და ი. გ. ვასენინის და ტრანსპორტის პროკურატურის — ამხ. ვოლოვიჩინის მონაწილეობით გაემგზავროს ხაზზე განსახილველად ზემოთ აღნიშნულ ყველა ფაქტის სახეზე.

ამავე დროს ვავალებ ამავდროულად ხელმძღვანელობას პროკურატურის უფლებით, რომ ადგილობრივ პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროკურორმა, მილიციამ, მუშკომებმა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები გაზეთის ფურცლებზე დასმენილი ფაქტების სწრაფად და ფრთხილად შესწავლის მიზნით.

ამავდროულად ვავალებ სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს, რომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროკურორმა, მილიციამ, მუშკომებმა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები გაზეთის ფურცლებზე დასმენილი ფაქტების სწრაფად და ფრთხილად შესწავლის მიზნით.

ამავდროულად ვავალებ სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს, რომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა, პროკურორმა, მილიციამ, მუშკომებმა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები გაზეთის ფურცლებზე დასმენილი ფაქტების სწრაფად და ფრთხილად შესწავლის მიზნით.



დაუბრკოლებლად გადავზიდოთ ნავთის პროდუქტები. სურათზე — მატ. № 702, ბენზინით დატვირთული, ვაგზალზე ადრე ჩამოვიდა ბაქოდან ტფილისში. გამსინჯველი ამხ. ქოჩიაშვილი ამოწმებს შიმადგენლობას.

ეფექტიანობის და ფსევდონიმების შესახებ

სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების გაზეთ „სტალინისტის“ რედაქციას

ჩვენ, სადგურის მუშებმა, ვკითხულობთ ჩვენ გაზეთს „სტალინისტი“ და ვიმეორებთ, რომ ის ნამდვილად ბოლშევიკური გაზეთია. ის ეხმარება ჩვენ ბრძოლაში ნამდვილი ბოლშევიკური ეფექტიანობისათვის, ის ეხმარება ჩვენ ბრძოლაში ბოლშევიკური ხელმძღვანელობისათვის, ის ეხმარება ჩვენ ბრძოლაში ბოლშევიკური ორგანიზაციულობისათვის.

ჩვენ ვიცით, რომ ეფექტიანობა ეს არის ის, რომ ყოველი ადამიანი, ყოველი მუშა, ყოველი კოლმეურნე, ყოველი ინჟინერ-ტექნიკოსი, ყოველი ხელმძღვანელი ორგანიზაციული მუშაკი, ყოველი ბრიგადა, ყოველი ბრიგადირი, ყოველი ბრიგადის წევრი, ყოველი ტრაქტორისტი, ყოველი მემანქანე, ყოველი მეთაიჭე, ყოველი მეთესლე, ყოველი მეთოხილე, ყოველი მეთივეკულტურე, ყოველი მეკულტივატორ

პარტიული მშენებლობა

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ

პოლიტსკოლების და წრეების მეცადინეობაზე მსმენელთა ასი პროცენტით დასწრება

„პარტიის სამხარეო კომიტეტი, საჭიროთ სთვლის მიუთითოს ყველაპარტიულ ორგანიზაციას, რომ აუცილებელია, თეორიული სწავლება ისე იქნეს აგებული, რომ იგი ორგანიულად იყოს დაკავშირებული სოციალისტურ მშენებლობის სამრეწველო საფინანსო გეგმებისათვის, მოსავლის აღებისა და საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის ბრძოლის საკითხებთან, ხელს უწყობდეს ჭარბანასა და კოლმეურნეობაში კომუნისტების ავანგარდული როლის განმტკიცებას“.

(ლ. ბერია)

პროპაგანდისტი ძირითადი რგოლია პარტსწავლების საქმეში

მარქსისტულ - ლენინური აღზრდის სწორი ორგანიზაცია, მისი მაღალი ხარისხი, კომუნისტების, კომკავშირელების, უპარტიო აქტივის, მუშების, კოლმეურნეების და ერთპიროვნული მეურნეების შეიარაღება მარქს-ენგელსის ლენინ-სტალინის მოძღვრების საფუძველებით — ეს თვითეული პარტიელის ღირსების საქმეა.

პარტიული სწავლება ისეთივე უმნიშვნელოვანესი უბანია ჩვენს მუშაობაში, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა.

პირველ რიგში პარტიელების, კომკავშირელების, აგრეთვე მრავალ მილიონ ენტუზიასტთა სოციალისტურ მშენებლობის დამკვრელების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება „ორგანულად დაკავშირებულ უნდა იქნას სოციალისტური მშენებლობის საკითხებთან, სამრეწველო საფინანსო გეგმისთვის, მოსავლის აღების და საშემოდგომო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის ბრძოლასთან; მან ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტის მოწინავე როლის განმტკიცებას ქარხანასა და კოლმეურნეობაში“ (საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დირექტივიდან).

სამხარეო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარტიულ სწავლებას. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში და პარტ-მასობრივი მუშაობის ერთერთ ძირითად უბნად თვლის მას.

პარტსწავლებაში ერთერთ ძირითად რგოლს წარმოადგენს პროპაგანდისტი. იგი მთავარი ფიგურაა სკოლაში, წრეში, პროპაგანდისტზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ პროპაგანდისტის თვისებებზეა დამოკიდებული მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების პროცენტი.

პარტიული მუშაობა დაყენებულ უნდა იქნას სათანადო სიძაღლეზე. მისი იდეურ-პოლიტიკური ხარისხი, სწავლების ხარისხი, მისი იდეურ-პოლიტიკური სიმტკიცე მთლიანად დამოკიდებულია პროპაგანდისტის თვისებებზე. ასეთ დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს რა პროპაგანდისტთა ყადრებს, სამხარეო კომიტეტი წინადადებას იძლევა: „უზრუნველყოფილ იქნას შიმორწმებული და იდეოლოგიურად მტკიცე პროპაგანდისტების გულდასმითი შერჩევა იმგვარად, რომ თვითეული პროპაგანდისტი შეამორწმოს კომისიამ პარტიის საქალაქო კომიტეტის ან რაიკომის ბიუროს სხდომაზე“. პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატიური დახმარება უნდა გაუწიონ პროპაგანდისტებს საპროპაგანდო სემინარების მოწყობით; ეს სემინარები მათ უზრუნველყონ კვალიფიციური ხელმძღვანელებით, აგრეთვე სისტემატიური კონსულტაციებით და სათანადო ლიტერატურით. მთელი ეს მუშაობა კონცენტრირებულ უნდა იქნას პარტკაბინეტებში.

პროპაგანდისტი უნდა იბრძოდეს მეცადინეობის „აკადემიურობის“ წინააღმდეგ, თეორიული სწავლების მოკლემულ საწარმოოს — საწარმოო ცხოვრებისაგან მოწყვეტის წინააღმდეგ. „მუშაობა სკოლებსა და წრეებში უნდა მოეწყოს იმგვარად, რომ სკოლები და წრეები თავის სასწავლო მუშაობასთან ერთად ნამდვილ დახმარებას უწევდნენ პარტიულ ორგანიზაციებს ისეთი ამოცანების შესრულებაში, როგორიცაა — სამეურნეო და პოლიტიკური კამპანიების ჩატარება, სოციალისტური შეჯიბრება, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება და სხვ.“ (საკ. კ.პ. (ბ) ც.კომის წერილიდან პარტგანათლების შესახებ).

ხელმძღვანელი მოვალეა როგორც მთელი თემის, ისე მისი ცალკე ნაწილების დამუშავების შემდეგ მიუთითოს, როგორ და სად, რა პირობებში უნდა შეფარდებულ იქნას პრაქტიკულ მუშაობაში მოკლემული თეორიული დებულებები. ამგვარად, პროპაგანდისტი არა მარტო მეცადინეობას ხელმძღვანელობს, არამედ მეცადინეობის გარეშეც დახმარებას უწევს მსმენელებს მათ პრაქტიკულ მუშაობაში. რათა თვით პროპაგანდისტმა კარგად შეითვისოს ეს მუშაობა, იგი კარგად, ყოველმხრივ უნდა იცნობდეს როგორც თავის მსმენელებს, ისე რაიონს, წარმოებას, მეურნეობას, საიდანაც შევსებულია მოცემული სკოლა. უამისოდ პროპაგანდისტის მუშაობა უნაყოფო იქნება. ხელმძღვანელი მეცადინეობაზე უნდა სარგებლობდეს ფართო განსაკუთრებული მასალით. მსმენელთა დატვირთვა პრობლემათა შესახებ მხოლოდ ერთიდაიმავე მშრალი მსჯელობით, გულს უცრუებს მათ მეცადინეობაზე.

მსმენელთა დაინტერესება, მათი აქტიობა სავსებით დამოკიდებულია პროპაგანდისტის მიერ მეცადინეობის მართებულად წაყვანაზე. პროპაგანდისტი უნდა იცნობდეს მიმდინარე პოლიტიკის ძირითად საკითხს, ყოველდღე უნდა კითხულობდეს გაზეთს. მან წინასწარ უნდა დაამუშაოს და ითვისოს ყოველი საკითხი, რომელიც ეხება მომავალ თემას, უნდა იცნობდეს საუბრის გეგმა და კაოგად უნდა იცოდეს მსმენელთათვის გასაცნობი ლიტერატურა. პროპაგანდისტს, რომელიც სახელდახელოდ იმზადება მეცადინეობისათვის, მხოლოდ ზიანს მოუტანს სკოლას. მხოლოდ ყველა ამ წესის დაცვით შეუძლია პროპაგანდისტს გახდეს მეცადინეობის ღირსეული ხელმძღვანელი და მთავარი ფიგურა. უამისოდ პარტიულ მუშაობას ვერ ავიყვანთ ჯეროვან სიმაღლეზე.

ვ. გოგუა.

„26“ კომუნარის რაიონის პროპაგანდისტთა პირველი შეკრება

26 ოქტომბერს საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის 26 კომუნარის სახ. რაიონში შედგა პროპაგანდისტთა პირველი სარაიონო შეკრება.

შეკრება გახსნა რაიკომის კულტპროპაგანდისტების გამგემ ამხ. ი. ბერიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციის საფუძველზე რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ მუშაობის საბრძ. ამოცანად დაისახა პარტიის წევრთა და კანდიდატთა მთელი შემადგენლობის 1933—34 წლის შემოდგომა-ზამთრი. პარტიული სწავლების ჩასმა. ამჟამად რაიონში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ტიპის 225 პოლიტსკოლა და წრე.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია მთელი ანად აერთიანებს პარტიის 2.498 წევრს და კანდიდატს, აქედან პარტიული სწავლების ქვეშ. ჩაბმულია პარტ. 2.190 წევრი და კანდიდატი. პოლიტსკოლები და წრეები უზრუნველყოფილია პროპაგანდისტების ძალით.

მიუხედავად იმისა, რომ შემოდგომა-ზამთრის პარტიული სწავლების ქსელის გაფართოებასთან წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა წარმატებით ჩატარდა, ზოგიერთი პარტორგანიზაცია პარტიის წევრთა, კანდიდატთა და უპარტიო მშრომელთა ფართო მასების მარქსისტულ-ლენინურ თეორიით შეიარაღების საქმეს თვითდინებას აყრდნობს. მთელ რიგ პოლიტსკოლებში სისტემატიურად იშლება მეცადინეობა; მაგ. 2 ოქტომბერს პირველი მეცადინეობა 225 პოლიტსკოლასა და წრის მაგივრად ჩატარდა 202-ში. ასეთსავე სურათს იძლევა მეორე და მესამე მეცადინეობაც.

ამჟამად ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მწვავედ დავარტყათ პარტიულ სწავლების შეუფასებლობის ფაქტებს. ამხ. ბერიშვილის სიტყვის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. ხიმონაძემ, ხოსიაძემ, ლეჟავამ, გულრიფშემ, ივანოვმა და სხვ.

კამათის დასასრულს საქ. კ. პ. (ბ) ტფ. ოკრგ. 26 კომუნარის სახ. რაიონის პროპაგანდისტთა პირველმა სარაიონო შეკრებამ შემოკრიბა შემდეგი ამოცანების შესრულებაში, როგორიცაა — სამეურნეო პარტიული სწავლების ქსელის გაფართოებით მასობრივი მუშაობის ყველა ფორმების ფართოდ გამოყენებით, ლენინური ჯგუფების ორგანიზაციის გაძლიერ

საბჭოთა კავშირში

მაგნიტოგორსკი ოქტომბრის პირმშოა

მაგნიტოგორსკი, 26 ოქტომბერი. ოქტომბრის დღესასწაულისათვის მოსამზადებელ კრებებზე მაგნიტოგორსკის მუშები ჯერ-ჯერობით უკეთებენ იმ კოლოსალურ მუშაობას, რომელმაც მაგნიტოგორსკი გადააქცია ურალის უდიდეს ინდუსტრიალურ და კულტურულ ცენტრად. დღეს მაგნიტოგორსკი — ეს არის სამი ბრძმედი, ოთხი საკოქსე ბატარეა, სამი მარტენის ღუმელი, ბლუმინგი, სამთხელ, სორეც - სამტვრევი ფაბრიკა, რამდენიმე ათეული სხვა დამხმარე საამქრო, ახლო მომავალში ამუშავდება მთელი რიგი ახალი მძლავრი აგრეგატები—ბრძმედი № 4, მარტენის ღუმელი № 4 და ავ. მაგნიტოგორსკმა უკვე მისცა ჩვენს ქვეყანას 524 ათასი ტონა თუჯი, 2 მილიონი ტონა მადანი.

გაშენდა ახალი სოციალისტური ქალაქი 220 ათასი მცხოვრებით, 5 უმაღლესი სასწავლებლით, მუშაკების, კლუბების, კინოების, სკოლების და საავადმყოფოების ფართო ქსელით.

სავსებით დამთავრდა ქალაქის გამწვანების გეგმის განხორციელება. დარგულია 240 ათასი ხე და ბუჩქი.

დაიწყო მეტალურგების უდიდესი კლუბის მშენებლობა რისთვისაც გადადებულია 4,5 მილიონი მანეთი (ადს).

30 მილიონი მანეთი საქართველოს კურორტების მშენებლობისათვის

1934 წელს სოციალური დაზღვევის ცენტრალური სამმართველო წყალტუბოში იწყებს ძველი ბოლშევიკებისათვის 100 საწოლიანი სანატორიუმის და საერთო სარგებლობი სათვის გათვალისწინებულ 100 საწოლიანი სანატორიუმის მშენებლობას. სანატორიუმების მშენებლობაზე გაიღებული იქნება 4 მილიონი მანეთი.

კურორტთა მთავარი სამმართველო წყალტუბოს მშენებლობაზე 1934 წელს გადასდებს 5.500.000 მანეთს. 1934 წელს დაიწყება სანატორიუმის ახალი დიდი, 900 საწოლიანი საბაზანო შენობის აგება. შეუდგებიან აგრეთვე ძირითადი სამუშაოებს წყალსადენის და კანალიზაციის გასაყვანად, რაზედაც გაღებული იქნება 1.700.000 მანეთი. მიმდინარე წლის დამლევს მთავრდება მარცხენა ნაპირის არხის მშენებლობა. ეს არხი დანიშნულია მდინარე წყალტუბოს წყლების გადასაგდებად. 1934 წ...ს მოთავდება მარჯვენა ნაპირის არხის მშენებლობა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სამკურნალო მიზნებისათვის გამოვიყენოთ წყალტუბოს სამკურნალო წყლის წყაროები, რომლებიც მდინარის ფსკერიდან მოეძებნებიან. სულ წყალტუბოს კაპიტალურ მშენებლობასა და კეთილმოწყობაზე განზრახულია დახარჯულ იქნას 16 მილიონი მანეთი.

სოციალური დაზღვევის ცენტრალური სამმართველო დიდ სამუშაოებს აწარმოებს ბორჯომში სანატორიუმების ახალი კომბინატის მშენებლობისათვის.

1934 წლის განმავლობაში აქ დამთავრდება კომბინატის პირველი სასწოლო კორპუსის აგება. მთელი კომბინატის მშენებლობა კი დამთავრდება ძეორე ხუთწლედის დამლევს და დაჯდება 15 მილიონ მანეთამდე. კომბინატს ექნება ოთხი კორპუსი, რომლებიც, ვარაუდით, 800 კაცს უნდა გაუწიონ მომსახურეობა, და სპეციალური სამედიცინო კორპუსი.

ახალი კომბინატის თვითეული კორპუსთან იქნება სადგომი სამზარეულოსა და სასადილოსათვის.

კურორტთა მთავარი სამმართველო 1934 წელს ვორონცოვის პლატოზე იწყებს 500 საწოლიანი სანატორიუმის და პატარაცემში 300 საწოლიანი საბავშვო სანატორიუმის მშენებლობას.

აბასთუმანში სოცდაზღვევის ცენტრალური სამმართველო იწყებს სანატორიუმის აგებას კრემლის სანატარული სამმართველოსათვის. კურორტთა მთავარი სამართველო ააგებს სანატორიუმს 500 კაცისათვის. მწვანე კონცხზე 1934 წელს მოთავდება სოცდაზღვევის მთავარი სამმართველოს სანატორიუმის მშენებლობა (ადს).

ერთი დეკადის ვადაში უნდა დამთავრდეს გამოქიგაში არსებული საქმეები

ცირკულარულად

ყველა რაიონის პროკურორებს და სასალხო მოსამართლეებს, ასევე: საძ. უზენაეს სასამართლოს, აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის პროკურორებს და მთავარ სასამართლოებს.

ამ დირექტივის მიღებისთანავე გეგმა-ები შეასრულოთ შემდეგი:

პროკურორებს:

1. ერთი დეკადის ვადაში დაამთავრეთ გამოძიებაში არსებული ყველა საქმე, რომლებიც ეხება კავშირ-გაბმულობის დაწესებულებებში ჩადენილ დანაშაულს და ამირადან აღძრული საქმეები უნდა დამთავრდეს აღძრის დღიდან არა უგვიანეს ერთი დეკადისა.

2. აღნიშნული კატეგორიის საქმეები მოაქციეთ განსაკუთრებული აღრიცხვის და პირადი კონტროლის ქვეშ.

3. უფრო დამახასიათებელ და სამეურნეო-პოლიტიკურ მნიშვნელოვან საქმეებზე სახალხო მოსამართლესთან შეთანხმებით მოაწყეთ სარჩევნებელი პროცესები და უზრუნველყავით პროცესში თქვენი მონაწილეობა.

4. გაშალეთ მუშაობა მუშრომელი ფართო მასების ყურადღების მობილიზაციისათვის აღნიშნული კატეგორიის საქმეების ირგვლივ და გააშუქეთ ადგილობრივ პრესაში თქვენი ამ დარგში მუშაობის შედეგები.

5. საქმეები, რომლებიც ეხება კავშირ-გაბმულობის (სოციალისტური ქონების) მტაცებლობას და გაფლანგვას კვალიფიკაციაქვნილი იქმნეს საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 1932 წ. 7 აგვისტოს კანონით, რის დროსაც ზუსტად იხელმძღვანელეთ ჩვენს მიერ მოცემული დირექტივებით აღნიშნული კანონის შეფარდების შესახებ.

6. სისტემატიური ზედამხედველობის ქვეშ მოაქციეთ სასამართლო განაჩენები და თვალყური ადევნეთ მას, რომ მისჯილი სოცდაცვის ღონისძიება სავსებით ეფარდებოდეს დანაშაულის სიმძიმეს და დამნაშავის პიროვნებას.

7. ამ საქმეში ფართოდ ჩაებით პროკურატურის მთელი მუშაკები.

მოსამართლეებს:

1. ერთი დეკადის ვადაში დაამთავრეთ წარმოებაში მყოფი საქმეები კავშირ-გაბმულობის დაწესებულებებში ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ და ამირიდან შემოსული საქმეები უნდა დამთავრდეს 5 დღის განმავლობაში დღიდან ასეთის შემოსვლისა.

2. ხუთი დღის განმავლობაში წარმოად-გინეთ ცნობები, თუ რამდენი საქმეა განსილული 1933 წლის განმავლობაში. მათ შორის რამდენი სარჩევნებელი პროცესით, ყოველ ცალკე საქმეზე აღნიშნეთ: ბრალდებულის გვარი, სახელი და მამის სახელი, დანაშაულის ჩადენის ადგილი და დრო, რა დანაშაული აქვს ჩადენილი ისხ. სამ. კოდ. მუხლის ჩვენებით, რა რაოდენობის თანხა არის გაფლანგული ან გატაცებული, ან რა რაოდენობის ზარალი აქვს მიყენებული კავშირ-გაბმულობის დაწესებულებებს და რა სოცდაცვის ღონისძიება აქვს შეფარდებული მსჯავრდადებულებს.

ამ დირექტივის ზუსტად შესრულების პასუხისმგებლობა ეკისრებათ პროკურორებს და სახალხო მოსამართლეებს.

წინადადება მიეცეს იუსტიციის სახ. კომისარიატის აღსრულების კონტროლს აიყვანოს აღრიცხვაზე და ყოველ ხუთ დღეში ვიმახსოვროთ ამ დირექტივის შესრულების მიმდინარეობა და შედეგები.

იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი ა. ვიშინსკი.

23 ოქტომბერი 1933 წ.

ოქტომბრის 16 წლისთავისათვის

ოქტომბრის დღეებში საქირკველი ჩაეყრება ტფილისის ბალნეოლოგიური ქალაქის მშენებლობას

ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლის თავის აღსანიშნავად 6 ნოემბერს შესდგება ტფილისის ბალნეოლოგიური ქალაქის აბანოს შენობის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა.

ბალნეოლოგიური ქალაქის აბანოს ორსართულიან შენობას 35.000 კუბ. მეტრის საერთო კუბატურით და 3.570 კვ. მეტრის სიერცით ექნება 50 კაბინა, სამსახეო განყოფილება, საბაზანო განყოფილება სპეციალურად ბავშვებისათვის, საცურაო აუზი, 7 საექიმო კაბინეთი, 8 სამეცნიერო კაბინეთი, ლაბორატორია და საინგალიაციო განყოფილება.

პირველი რადიოფიცირებული მატარებელი ა.-კ. რკინის გზაზე

რკინის გზის პროფსაბჭო შეუდგა ბაქო-ბათომის № 49 სამგზავრო მატარებლის რადიოფიცირებას.

სპეციალურად გამოყოფილ ეყარწუნი ეწყობა მატარებლის რადიოკვანძი, სტუდია, და სხვ. ვატარებენ № 49 იქნება პირველი რადიოფიცირებული სამგზავრო მატარებელი ამირა-კავკასიის რკინის გზებზე.

მგზავრების მომსახურების რადიოგადაცემათა აპარობის რადიოგადაცემის ამირა-კავკასიის კომიტეტი. მატარებლის რადიოინჟინრის ბოჭვობა დამთავრდება ოქტომბრის მე-16 წლის თავზე.

30.000 ფიზკულტურელის პარადი ოქტომბრის დღეებში

7 ნოემბრის ოქტომბრის ზეიმის პარალელურად საქართველოს ფიზკულტურის ორგანიზაციები დღესასწაულობენ თავის არსებობის ათი წლის თავს.

პარადთან დაკავშირებით წარმოებს დიდი მოსამზადებელი მუშაობა: 18-24 ოქტომბერს მიმდინარეობდა პარადის მოსამზადებელი რეპეტიციები. 30 ოქტომბერს ჩატარდება გენერალური რეპეტიცია.

სამეცნიერო აკადემიის ტფ. სამეცნიერო ინ-ტის დაგთკვლევის ინსტიტუტი

ტფილისში ეწყობა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის ამირა-კავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილების სამეცნიერო ნიადაგთკვლევის ინსტიტუტი; ა.-კ. ფილიალის ნიადაგმცოდნეობის სექტორის და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტ-ს ნიადაგთკვლევის ლაბორატორიის ბაზაზე.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს პროფესორ **ს. ზაზარაშვ.** მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას მიიღებენ პროფესორები **ლ. პრასალოვი და დ. გედეონიშვილი,** აგრეთვე დოცენტი **მ. სახაშვილი.**

ინსტიტუტის სტრუქტურაში შედის: მინდორთკვლევის კაბინეტი, ნიადაგთა ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიები სარწყავი ოთახით და ნიადაგთა კართოგრაფიის კაბინეთი.

ინსტიტუტმა შეადგინა 1934 წლის სამუშაო გეგმა, რომელშიაც შედის ამირა-კავკასიის ნიადაგის რუკის და საქართველოს ცალკე რუკის და საქართველოს ნიადაგის ცალკე რუკის შედგენა.

ინსტიტუტის მთელი მუშაობა იწარმოებს სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებებთან და უმაღლეს სასწავლებლების კათედრებთან მჭიდრო კონტაქტში და მათთვის ცალკე თემების და საკითხების დამუშავების დაკისრებით (ადს).

ა.-კ. კავშირგაბმულობის მუშაკთა ფიზ-კულტურული სპარტაკიადა

24 ოქტომბერს ლენინის სახ. სტადიონზე საღამოს 8 საათზე მოხდა კავშირგაბმულობის მუშაკთა ფიზკულტურული სპარტაკიადის საზეიმო გახსნა.

სპარტაკიადა ტარდება ამირა-კავკასიის ხაზით, სპარტაკიადაში მონაწილეობას ღებულობს: ტფილისის, ბაქოს და ერევანის ფიზკულტურის საუკეთესო კოლექტივები.

ბაქოდან ჩამოსულია 14 კაცი. მათ შორის 6 ქალი და ამდენივე ერევნიდან; სპარტაკიადის საზეიმო გახსნის შემდეგ გათამაშებული იქნა ფრენ-ოლოთის გუნდები ერევნისა, ტფილისი—ერევანი: თამაში დამთავრდა ტფილისის გუნდის გამარჯვებით. შემდეგ ითამაშეს ბაქო-ერევნის ქალების გუნდებმა, თამაში ბაქოელების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

ქალათა-ბურთი ითამაშეს ტფილისმა და ბაქომ, თამაში ტფილისელების გამარჯვებით დამთავრდა.

სპარტაკიადა გრძელდება.

ცილობა ფრანგულ ჭიდაობაში პროფკავშირების ნაკრები „დინამო“

30 ოქტომბერს „დინამოს“ სპორტდარბაზში ჩატარდება ცილობა ფრანგულ ჭიდაობაში, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საქ. პროფკავშირებისა და „დინამოს“ მოკიდაებეთა ნაკრები გუნდები. წონათა კატეგორიის მიხედვით.

ნაკრები პროფკავშირებისაგან მონაწილეობენ

ოთარდანაშვილი (ფრთის წონა) **თიკანაძე** (უმსუბუქესი), **ნებიერიძე,** (მსუბუქი), **გოგვი** (ნახევრად საშუალო), **მელნიკოვი** (საშუალო), **ჯგვახაშვილი** (ნახევრად მძიმე).

„დინამოსაგან“: **დენზოვი, კაპიტანოვი, მუშედიანი და კოხრიანიძე.** ამ კიდილობაზე შერჩეული იქნება ქალაქის ნაკრები გუნდისათვის საუკეთესო მოკიდაებენი, რომლებიც შეხვდებიან როსტოვის მოკიდაებეთა გუნდს და ეს შეხვედრა საინტერესო იქნება მათ, რომ როსტოვის ძალოსნებმა გასულ საკავშირო ცილობაზე პირველი ადგილი დაიკავეს.

ლენინის სტადიონი: უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ფიზკულტურულ დღესასწაულისათვის

ფიზკულტურა და სპორტი

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომებისპირის უპატრონობაზე“ გამოცემული დადგენილებისათვის 28 მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

I.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილებას „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. №-ი, მუხ. 20,) დაემატოს 28¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„28¹ საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა სახლებში მცხოვრები პირნი, რომელნიც ამ ამხანაგობათა წევრნი არ არიან, ბინის ქირას იხდიან მათი ხვედრი განაკვეთის თანხაზე 15 პროცენტის ოდენობით.

2.

დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1933 წ. იანვრის 1-დან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე Ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ქ.ჩუბინაშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. ბელენი.

1933 წ. ოქტომბრის 14.
ტფილისი.

კარტოუხი და საბჭოთა კავენდარი

28 ოქტომბერს, დღის 3 საათზე ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში მოწვეულია პარტუჯრედების მდივნების, საწარმოების დირექტორების, ტრესტების გაგების და სამეურნეო მუშაკების თათბირი 3 ნოემბრის პარტდღის სათვის მზადების მიმდინარეობის საკითხზე. ზემოთლინიშნული ამხანაგების თანხმობა თავის დროზე გამოცხადება საინფორმაციო მასალებით სავალდებულოა.

საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომი.

—:—

დღეს, სრულ პირველ საათზე საქართველოს კპ. (ბ) ტფილისის კომიტეტის კულტ-პროპაგანდისტორის (ოთახი № 34) ამხ. დემიტრაძესთან შესდგება თათბირი მუშა-პროპაგანდისტთა რაიონული კურსების საკითხზე. თათბირზე უნდა გამოცხადდეს რაიკომების სალამის საბჭოთა პარტკოლექტივების გამგეები ამხ. გრიგორიანი, მელაქაძე, პირაველი და ოთხფურნია სათანადო მასალებით დაკომპლექტების მიმდინარეობის შესახებ.

—:—

28 ოქტომბერს დილის 11 საათზე საქ. ცაკ. კომისიაში (ოთახი № 23) ამხ. გიორგაძეთან უნდა გამოცხადდეს ამხ. არაბიძეს („ჯრასნი ვოინის“ რედაქტორი) და ამხ. სლავინსკი (მაუდის ფაბრიკა).

—:—

30 ოქტომბრის დილის 10 საათზე (ჯუღაშვილის ქ. № 22) შესდგება მასობრივი დაუსწრებელი სწავლების მსმენელთა კურსის კონფერენცია. ტფილისში მცხოვრები ყველა დაუსწრებელი მსმენელები უნდა გამოცხადდენ აღნიშნულ დროს. ისინი, ვინც არ გამოცხადდება ჩაითვლებიან გარიცხულად. ორჯონიკიძის სახელობის რაიონიდან: კლადიმერ სადილიანი, პლატონ ნაცვლიშვილი ჩატარდება ცილობა ფრანგულ ჭიდაობაში, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საქ. პროფკავშირებისა და „დინამოს“ მოკიდაებეთა ნაკრები გუნდები. წონათა კატეგორიის მიხედვით.

ნაკრები პროფკავშირებისაგან მონაწილეობენ

ოთარდანაშვილი (ფრთის წონა) **თიკანაძე** (უმსუბუქესი), **ნებიერიძე,** (მსუბუქი), **გოგვი** (ნახევრად საშუალო), **მელნიკოვი** (საშუალო), **ჯგვახაშვილი** (ნახევრად მძიმე).

„დინამოსაგან“: **დენზოვი, კაპიტანოვი, მუშედიანი და კოხრიანიძე.** ამ კიდილობაზე შერჩეული იქნება ქალაქის ნაკრები გუნდისათვის საუკეთესო მოკიდაებენი, რომლებიც შეხვდებიან როსტოვის მოკიდაებეთა გუნდს და ეს შეხვედრა საინტერესო იქნება მათ, რომ როსტოვის ძალოსნებმა გასულ საკავშირო ცილობაზე პირველი ადგილი დაიკავეს.

ლენინის სტადიონი: უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ფიზკულტურულ დღესასწაულისათვის

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომებისპირის უპატრონობაზე“ გამოცემული დადგენილებისათვის 28 მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

I.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილებას „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. №-ი, მუხ. 20,) დაემატოს 28¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„28¹ საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა სახლებში მცხოვრები პირნი, რომელნიც ამ ამხანაგობათა წევრნი არ არიან, ბინის ქირას იხდიან მათი ხვედრი განაკვეთის თანხაზე 15 პროცენტის ოდენობით.

2.

დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1933 წ. იანვრის 1-დან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე Ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ქ.ჩუბინაშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. ბელენი.

1933 წ. ოქტომბრის 14.
ტფილისი.

კარტოუხი და საბჭოთა კავენდარი

28 ოქტომბერს, დღის 3 საათზე ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში მოწვეულია პარტუჯრედების მდივნების, საწარმოების დირექტორების, ტრესტების გაგების და სამეურნეო მუშაკების თათბირი 3 ნოემბრის პარტდღის სათვის მზადების მიმდინარეობის საკითხზე. ზემოთლინიშნული ამხანაგების თანხმობა თავის დროზე გამოცხადება საინფორმაციო მასალებით სავალდებულოა.

საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომი.

—:—

დღეს, სრულ პირველ საათზე საქართველოს კპ. (ბ) ტფილისის კომიტეტის კულტ-პროპაგანდისტორის (ოთახი № 34) ამხ. დემიტრაძესთან შესდგება თათბირი მუშა-პროპაგანდისტთა რაიონული კურსების საკითხზე. თათბირზე უნდა გამოცხადდეს რაიკომების სალამის საბჭოთა პარტკოლექტივების გამგეები ამხ. გრიგორიანი, მელაქაძე, პირაველი და ოთხფურნია სათანადო მასალებით დაკომპლექტების მიმდინარეობის შესახებ.

—:—

28 ოქტომბერს დილის 11 საათზე საქ. ცაკ. კომისიაში (ოთახი № 23) ამხ. გიორგაძეთან უნდა გამოცხადდეს ამხ. არაბიძეს („ჯრასნი ვოინის“ რედაქტორი) და ამხ. სლავინსკი (მაუდის ფაბრიკა).

—:—

30 ოქტომბრის დილის 10 საათზე (ჯუღაშვილის ქ. № 22) შესდგება მასობრივი დაუსწრებელი სწავლების მსმენელთა კურსის კონფერენცია. ტფილისში მცხოვრები ყველა დაუსწრებელი მსმენელები უნდა გამოცხადდენ აღნიშნულ დროს. ისინი, ვინც არ გამოცხადება ჩაითვლებიან გარიცხულად. ორჯონიკიძის სახელობის რაიონიდან: კლადიმერ სადილიანი, პლატონ ნაცვლიშვილი

საბინაო-სამოქალაქო ნაგებობათა ტრესტი

29 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, სტალინის სახელობის კლუბში (პლეხანოვის პროსპ. № 121) **მოწვეულია**

ტფილისის სამოქმსახარებლო ორგანიზაციათა კავშირის რწმუნებულთა პირველი კრილობა

შემდეგი დღის წესრიგით:

1. ტფილისის კავშირის ორგანიზაცია და მისი ძირითადი ამოცანები (მოხს. ამხ. **ალ. მაისურაძე.**)
2. ტფილისის კავშირის წესდების განხილვა დამტკიცება. მოხსენებელი **ამხ. კილიევა.**)
3. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
4. ცეკავშირის ყრილობისათვის დელეგატების არჩევა.
5. მიმდინარე საკითხები,

2—1 **ტ. ხ. ო. კ. ორგ-ბიუროო.**

საქ. კომპარტიის (ბ) სეკასთან არსებული

სტალინის ინსტიტუტის გიგლიოთეკა

ყიდულობს

წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს, ფურცლებს და სხ.

(ლეგალურს და არალეგალურს).

საჭიროა: „დრო“, „ახალი დროება“, „ჩვენი ცხოვრება“, „ბრძოლა“, „მაკინსკი პროლეტარი“, „მონეორი კრივი“, „ბურეევესტნიკი“, „ტფილისის პროლეტარი“, „კავკაზსკი რაბოჩი“, „კომუნისტი“, 1920 წ. „პროლეტარიატის ბრძოლა“ და სხ.

მისამართი: ლენინის ქუჩა 16, სტალინის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, დღის 9 საათ. დღის 3 საათამდე.

596



სადგურის ხიდის მშენებლობა. რკინა ბეტონიდან ხიდის თაღის გასაკეთებლათ წინასწარი მოშაობა დამთავრებულია ქვემოთ კუთხეში—ხიდზე მისასვლელი გზის მიწის სამუშაოების მექანიზაცია

მარგანეცი

ჭიათურა, 27 ოქტომბერი. 25 ოქტომბერს ჭიათურის მაღაროებში უნდა ამოეღოთ 4.323 ტონა მარგანეცი, ფაქტიურად ამოიღეს 4174 ტონა, გეგმის 96,5 პროც.

უნდა გაეერეცხათ 2.270 ტონა მარგანეცი, გაირეცხა 1.917 ცონა რაც დავალების 84,4 პროც. შეადგენს.

სახ. ოპერა

დღეს	29 ოქტომბერს	30 ოქტომბერს
მე-11 აბონ. 2 წარმ.	2 აბონ. 3 წარ.	ორ-4 აბონ. 3 წ.
ჭ ი ს კ ა	**ტრილბი**	**სიმფონიური კონცერტი**

მეოთხე მორიგი შესატანის უკანასკნელი ვადა ყველა აბონემენტებზე არის **5 ნოემბერი.**

სალარო ღიაა დღისით 11-დან 2 საათამდე, საღამოთი 6-დან 8 საათამდე. 631

რუსთ. თეატრის სახლ. ხელმძღვანელობით 1933—34 წ.

30 ოქტ. საქ. მალაბარიშ. მუშა მოსამზ. კულტ-ლაშქრობა	31 ოქტომბერს 12 აბონ. 1 წარ	1 ნოემბერს 13 აბონ. 1 წარ
ქართა ქალაქი	**ქართა ქალაქი**	**ქართა ქალაქი**

„ბორზი“ ს საშუალებით ადგილქ. მიღ. აბონ. მე-2 გადასახ. უკანასკ. ვადა ცხადდება 30 ოქტ. გადასახადი მიიღება დილ. 11-5 საათ. „ბორზი“-ს სალარო. ჯორჯიაშ. ქ. 8, საღ. 6—9 ს. რუსთ. თეატრ. სალაროში.

მარიონეტების სახლ. 28 ოქტომბერის 7 აბონ. 1 წარ. | 29 ოქტომბერის 10 აბონ. 1 წარ. | 30 ოქტომბერის აბონ. გარეშე

მზის დაბნელება საქართ. | **ზ ი ზ ი** | **მზის დაბნელება საქართ.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11 ს.—12 ს. საღამოს 6 ს.—10 ს. პირველი წარმოდგენიდან დასასწრებლად შემოტ. უნდა იქნეს მე-2 გადასახადი. ნ. 406

ხალკინმრეწვის კინო-თეატრები:

ე მ ი რ ი 7-30 9, 10-30.	სახლვ. ისტ. ფილმი **სალამბო** პროგ. გარ. სოიუზკინოს ჟურ. № 24.
ტ ე მ პ ი 6, 7-30, 9, 10-30	მხ. კომ. **ოქრი მეგობარი, მოდელი და მეგობარი ძალი.** პრ. გარ. სკ 14
ოქტომბერი—დღისით სეან. 12, 1-30, 3	სახკინმრეწვის ნაწარმოები **ოქრი მონადირე**
რ. ლეუშკემბურგის 6-30 8-30 10-30	მხ. ისტ. ფ. **კაკიბანის ქალიშვილი** პრ. გარეშე—ხმოვანი ჟურნალი № 21
დამკვრელი ზამთრის 6, 7-30, 9, 10-30.	ახ. ამერ. კომედ. საღამო: **1. ჯამბაზი, 2. შვილოგილი, 3. მეუღლო ოჯახი**
კომინტერნი (დიდუბე) ტ. 10	სახლვარგ. კომ. **პატი ლია ზღვაში** პრ გარ —სოიუზკინოს ჟურნ. № 25
ოქტომბერი—ხმოვანი 6-30, 8-30, 10-30	მხატ. ხმოვანი ფილმი **დეზერტირი** პრ. გარ. ბძოვ. ფიზჯულტ. აღლუმი
ს პ ა რ ტ ა კ ი 6, 7-30 9, 10-30	მხ. კომპ. ფ **ადამიანი მარტო დარჩა** პროგ. გარეშე—სკკ № 22.
ზგ-ის ხალხლებების (ვილაბარში) 7-30, 9, 10-30	სათავგ. ფილმი **აბრეკ ზაური**
შეცნიერება და ტექნიკა ტ. 9-30	მხ. სამ. ფ. **ქარა-ტაუს საიდუმლოება** პრ. გარ. სახკ. ჟურ. № 13
საბავშვო კინო დღეს 12 და 2 საათზე	მხატ. ახალგ ფილმი **გოგბისტი** პრ. გარ ახალგ. საერთ. დღე მოსკოვში

სააქციონრწვის კინო-თეატრები:

ე მ ი რ ი 7-30 9, 10-30.	სახლვ. ისტ. ფილმი **სალამბო** პროგ. გარ. სოიუზკინოს ჟურ. № 24.
ტ ე მ პ ი 6, 7-30, 9, 10-30	მხ. კომ. **ოქრი მეგობარი, მოდელი და მეგობარი ძალი.** პრ. გარ. სკ 14
ოქტომბერი—დღისით სეან. 12, 1-30, 3	სახკინმრეწვის ნაწარმოები **ოქრი მონადირე**
რ. ლეუშკემბურგის 6-30 8-30 10-30	მხ. ისტ. ფ. **კაკიბანის ქალიშვილი** პრ. გარეშე—ხმოვანი ჟურნალი № 21
დამკვრელი ზამთრის 6, 7-30, 9, 10-30.	ახ. ამერ. კომედ. საღამო: **1. ჯამბაზი, 2. შვილოგილი, 3. მეუღლო ოჯახი**
კომინტერნი (დიდუბე) ტ. 10	სახლვარგ. კომ. **პატი ლია ზღვაში** პრ გარ —სოიუზკინოს ჟურნ. № 25
ოქტომბერი—ხმოვანი 6-30, 8-30, 10-30	მხატ. ხმოვანი ფილმი **დეზერტირი** პრ. გარ. ბძოვ. ფიზჯულტ. აღლუმი
ს პ ა რ ტ ა კ ი 6, 7-30 9, 10-30	მხ. კომპ. ფ **ადამიანი მარტო დარჩა** პროგ. გარეშე—სკკ № 22.
ზგ-ის ხალხლებების (ვილაბარში) 7-30, 9, 10-30	სათავგ. ფილმი **აბრეკ ზაური**
შეცნიერება და ტექნიკა ტ. 9-30	მხ. სამ. ფ. **ქარა-ტაუს საიდუმლოება** პრ. გარ. სახკ. ჟურ. № 13
საბავშვო კინო დღეს 12 და 2 საათზე	მხატ. ახალგ ფილმი **გოგბისტი** პრ. გარ ახალგ. საერთ. დღე მოსკოვში

ეჭიმი

კ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება.
კანის და ვენერ. ავადმყ. სიფილისი, ტრიპერი ტ მისი შედეგების მკურნალობა.
მიღება: მამაკაც. 8—9 ს. დილ., 7—8 ს. საღამოს, ქალების 6—7 ს. საღ. კოსის ქ. № 19, ტელ № 29—50. 12—1.

ეჭიმი ქალი ნ. მირიანაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება **კანის და ვენერიული ავადმყ** (სუსუნათი)
მხოლოდ ქალების და ბავშვების.
მიღება 5—7 ს. მოსკოვის ქ. № 9, ტელ. 4-95. 243

ვამზადებთ მოწაფეებს:
10 წლ. 7 წლ. მოწმობაზე და **მოანგარიშეობის,** თანამდებობისათვის,
კარგაროეთლის ქ. № 3-ა 4—6 ს.
10—1 542

სააქ. პარტიული გამომცემლობა

გ ა მ ო ვ ი დ ა

პიატნიცკი „თანამედრ. მდგომარეობის შესახებ გერმანიაში“

იყიდება პარტგამომცემლობის ყველა მაღაზიებში და კიოსკებში.

ნ. 445

ნინო თურაქულტანიშვილი, მელანია და გიორგი ჩიქოვანები ბეილებით, რძლებით და სიძეებით იუწყებიან საყვარელი სიძის და ძვირფასი ადამიანის

ვლადიმერ გრიგორის-ძე ციციშვილის

გარდაცვალებას. 622

დამწუხრებულნი ბიცოლები: აგრაფინა, კასინე, ბიძაშვილები: ვენედიქტე, გრიშა, ალიოშა, მიშა. არჩილი, კუცური ჩიჩუები იუწყებიან მუდამ დაუვიწყარ

ვანო ხიკოს-ძე შალიკაშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება ს. სამებაში (ჩოხატაურის რ.). 630

ბიძა პეტრე, ბიცოლა ნინა, ბიძაშვილები კოლია და მირიანი დიდებები: შურა და ქეთევანი დუდუები იუწყებიან, რომ უდროოდ გარდაიცვალა სიცოცხლით სავსე

აჩიკო სოლოვოვნის-ძე ძაცარავა

დაკრძალვა ქალ. ხონში 29 ოქტ. 5 5

ერმად დამწუხრებულნი დისწულები ვანო კიკნაძე ცოლ-შვილით და კოლია გურკანიძე მწუხარებით იუწყებენ თავის არგაიცვალა მათი ძვირფასი ბიძა

პავლე იოსების-ძე მაჭავარიანი

თაფლო, ნინო, შურა ცო